ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

ოქმი N4

„ 26" ივნისი, 2024 წელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე: ნიკა კორშია.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. კომისიის წევრები- ნიკა კორშია, ნანა ვეკუა, [redacted] სალომე წულაია, [redacted] ირაკლი კიკაი[illegible]ეიშვილი, [redacted]
2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდ[illegible]ების სამსახურის უფროსი ვასილ თოდუა.
3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახ[illegible]ურის იურიდიული განყოფილების უფროსი [redacted].
4. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლექსო თოდუა.

მოისმინეს: ინფორმაცია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის დღის წესრიგის შესახებ.

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრის, შესაბამისი ინსტრუქციის და ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 ივლისის №18/24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

   /მომხსენებელი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი ვასილ თოდუა./

2. „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება- რაგბის სასპორტო სკოლის (ს/ნ 215136779) და ა(ა)იპ სპორტული სარაგბო კლუბი იუნკერების (ს/ნ 404425369) შერწყმისა და ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება- რაგბის სასპორტო სკოლის (ს/ნ 215136779) სახელწოდების შეცვლის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

/ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი -

დაადგინეს:
დამტკიცდეს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 8 წინააღმდეგი- 0

მოისმინეს:
ინფორმაცია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრის, შესაბამისი ინსტრუქციის და ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 ივლისის №18/24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

დაადგინეს:

1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი. რაც შეეხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს სამართლებრივი აქტის პროექტის დასაბუთებასა და მიზანშეწონილობას, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ეკისრება პროექტის ავტორს.
2. საკრებულოს წარედგინოს კომისიის დასკვნა თანახმად დანართისა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8 წინააღმდეგი - 0

მოისმინეს: ინფორმაცია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება- რაგბის სასპორტო სკოლის (ს/ნ 215136779) და ა(ა)იპ სპორტული სარაგბო კლუბი იუნკერების (ს/ნ 404425369) შერწყმისა და ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება- რაგბის სასპორტო სკოლის (ს/ნ 215136779) სახელწოდების შეცვლის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

აზრი გამოთქვეს:

შეკითხვა:

ნიკა კორშია- რამ გამოიწვია ა(ა)იპების გაერთიანება.

პასუხი:

მერის მოადგილე ლექსო თოდუა-

ვინაიდან კლუბი ,,იუნკერები" სხვადასხვა პრობლემების გამო ასპარეზობას ვერ აგრძელებს პირველ ლიგაში, მათთან შეთანხმების საფუძველზე, გუნდების გაერთიანების შედეგად, შესაძლებელია, რაგბის სასპორტო სკოლის გუნდმა იასპარეზოს ზემოაღნინიშნულ ლიგაში, რომელიც მოითხოვს იმ ფინანსური ვალდებულებების დაფარვას, რაც ,,იუნკერებს" დაუგროვდათ მიმდინარე სეზონის განმავლობაში.
ამასთან, გაცნობებთ, რომ პირველ ლიგაში მოასპარეზე გუნდებს რაგბის კავშირიდან ერიცხებათ 300 000 ლარი, საიდანაც მოხდება აღნიშნული დავალიანების დაფარვა, საბიუჯეტო სახსრების გამოყენების გარეშე. ასევე სკოლას აქვს დიდი სპონსორული მხარდაჭერა სხვასხვა კომპანიებისგან, რაც ერთი ორად გაიზრდება, გუნდის პირველ ლიგაში ასპარეზობის შემთხვევაში.

,,იუნკერების" და ,,კოლხი რაინდების" გაერთიანების ბაზაზე შეიქმნება უმაღლესი დონის, კონკურენტუნარიანი გუნდი, რომელიც იქნება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გუნდი. აღნიშნული იძლევა შესაძლებლობას მიღწეულ იქნეს წლების მანძილზე არსებულ გამოწვევა და გუნდმა იასპარეზოს დიდ ათში. უპირველეს ყოვლისა აქცენტი იქნება გაკეთებული სკოლის აღსაზრდელებსა და ფოთელ მორაგბეებზე, რომლებიც იასპარეზებენ გუნდში სახელად *,,ფოთი"*.

შეკითხვა:

- კლუბი იუნკერები ბაზირებს თბილისში? გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა? გააჩნია დავალიანება?

პასუხი:

მერის მოადგილე ლექსო თოდუა- კლუბი იუნკერები ბაზირებს თბილისში და არ გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა. კლუბის დავალიანებას გადაიხდის ფედერაცია, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხის გადახდა არ მოხდება.

შეკითხვა:

ნიკა კორშია- ჩვენს გუნდს აფინანსებს ბიზნესმენები, გაერთიანების შემთხვევაში, რომ არ მოხდება დაფინანსების შეწყვეტა?

პასუხი:

მერის მოადგილე ლექსო თოდუა- არა, არ მოხდება დაფინანსების შეწყვეტა.

შეკითხვა:

- კლუბ იუნკერებს ჰყავს სპორტსმენები, ჩვენ გუნდს ჰყავს სპორსტმენები, გაერთიანების შემთხვევაში, ხომ არ ექმნებათ ჩვენ სპორტსმენებს რაიმე საფრთხე?

პასუხი:

მერის მოადგილე ლექსო თოდუა- არა, კლუბი იუნკერების სპორტსმენების ნაწილი უკვე გადასულია სხვა კლუბებში, ჩვენ სპორტსმენებს რაიმე სახის პრობლემები არ შეექმნებათ.

დაადგინეს:

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
   რაც შეეხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ საკრებულოს სამართლებრივი აქტის პროექტის დასაბუთებასა და მიზანშეწონილობას, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ეკისრება პროექტის ავტორს.
2. საკრებულოს წარედგინოს კომისიის დასკვნა თანახმად დანართისა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8 წინააღმდეგი - 0

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე ნიკა კორშია